

დამტკიცებულია

საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის მიერ

ძალაშია 2017 წლის 05 აპრილიდან და მოქმედებს 2019 წლის 11 მაისამდე

განაკვეთები (ტარიფები)

ბიბლიოთეკების, სასწავლო დაწესებულებების და სხვა ორგანიზაციების მიერ ბეჭდური ნაწარმოების ორიგინალის ან მისი ასლის დროებით მფლობელობაში გადაცემისათვის

სარგებლობის სახე	განაკვეთი
ბეჭდური ნაწარმოების ორიგინალის ან მისი ასლის დროებით მფლობელობაში სასყიდლიანი გადაცემა	0.02 ლარი თითოეული ბეჭდური გამოცემისთვის

სარგებლობის სახე	მოსარგებლის მფლობელობაში არსებული ბეჭდური ნაწარმოების ჯამური რაოდენობა	ყოველთვიური განაკვეთი
ბეჭდური ნაწარმოების ორიგინალის ან მისი ასლის დროებით მფლობელობაში სასყიდლიანი გადაცემა ყოველთვიურად	1-5 000	50
	5 001-15 000	75
	15 001-45 000	112.50
	45 001-135 000	168.75
	135 001-405 000	253.13
	405 001-1 215 000	379.70
	1 215 001 და მეტი	569.55

- ამ განაკვეთის მიზნებისთვის ბეჭდურ გამოცემაში არ იგულისხმება გაზეთები, ჟურნალები და სხვა პერიოდული გამოცემები, ასევე მატერიალურ მატარებელსა და/ან ტექნიკურ მოწყობილობაზე ჩაწერილი წერილობითი ნაწარმოებები და სტიკერების, სამუშაო რვეულების და სხვა მსგავსი ფორმის გამოცემები, რომლებიც ატარებს ერთჯერადი გამოყენების მიზანს
- ბეჭდური ნაწარმოების ორიგინალის ან მისი ასლის დროებით მფლობელობაში უსასყიდლო გადაცემის შემთხვევაში განაკვეთები მცირდება 20%-ით
- განაკვეთები თბილისის ფარგლებს გარეთ მოქმედი მოსარგებლეებისათვის მცირდება 20%-ით
- განაკვეთები შეიცავს დღგ-ს

გიგა კობალაძე
გამგეობის თავმჯდომარე